

სკოპინგის დასკვნა N52

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 500 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ რეკონსტრუქცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგო“ (ს/კ: 211324468);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მესტიის მუნიციპალიტეტი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 23.07.2024

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილია 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის, „კავკასიონის“ რეკონსტრუქციის სკოპინგის ანგარიში.

რეკონსტრუქციის ფარგლებში დაგეგმილია, საპროექტო 500/110/35 კვ ძაბვის ქვესადგურ „იდლიანზე“ დაკავშირების მიზნით ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ N91 და N94 საყრდენებს შორის მოქცეული, მონაკვეთის რეკონსტრუქცია, რაც გულისხმობს N92 საყრდენის დემონტაჟს და ახალ ლოკაციაზე გადატანას, N93 საყრდენის დემონტაჟს და მის ნაცვლად, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე ორი Y2 K (C2) ტიპის ახალი N93-N93ა საყრდენი ანძის მოწყობას, ასევე N94 საყრდენი ანძის დემონტაჟს, მისი შეცვლილი კუთხით დამონტაჟების მიზნით. პროექტი არ ითვალისწინებს N91 საყრდენის ადგილმდებარეობის ცვლილებას.

საპროექტო ეგხ-ის დერეფნიდან ჩრდილო-დასავლეთით, 900 მეტრში მდებარეობს უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფ. სკორმეთი. საპროექტო ტერიტორია მოიცავს მდ. ენგურის ორივე ნაპირს. მარცხენა სანაპიროზე მდინარიდან საპროექტო N92 და N94 ანძებამდე მანძილი შეადგენს 150-535 მეტრს, ხოლო მარჯვენა ნაპირზე დაგეგმილ N93 და N93ა ანძებამდე მანძილი 25-35 მეტრია. სარეკონსტრუქციო მონაკვეთში ეგხ-ს დერეფანი კვეთს მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე არსებულ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზას და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“-ს 35 კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ს (ხუდონი-ლახამურა: ს/კ 42.00.040).

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების ადგილისა და ტექნიკური ალტერნატივები, ასევე უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის ალტერნატივების შერჩევა მოხდა

გეოლოგიური პირობების, ასევე გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმილი რეკონსტრუქციის პროექტი გულისხმობს მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე არსებული ეგხ „კავკასიონი“-ს N92 ანძის ადგილის ცვლილებას, კერძოდ ანძა მოწყობა არსებული ანძის განთავსების ადგილიდან, ჩრდილოეთით რამდენიმე მეტრის დაშორებით. აღნიშნული საყრდენი დაუკავშირდება მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე მოსაწყობ N93 საყრდენს. მოცემული წერტილიდან მოხდება ეგხ-ს შესვლა 500/110/35 კვ ძაბვის „ილიანი“-ს ქვესადგურში, საიდანაც ეგხ კვლავ მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მოწყობილ N93ა ანძაზე დაერთდება და N94 ანძაზე შეერთების შედეგად ჩაერთვება არსებულ ელექტროგადამცემ ხაზ „კავკასიონში“.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტი ითვალისწინებს საყრდენების ფუნდამენტებად რკინაბეტონის საძირკვლების გამოყენებას და AC 300/67 ტიპის ფოლად-ალუმინის სადენების მონტაჟს. ჯამურად პროექტის ფარგლებში მოსაწყობი ერთჯაჭვიანი ეგხ-ის სიგრძე იქნება 1251 მეტრი, რომელიც გაივლის სახელმწიფო და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე. აღნიშნული ნაკვეთების გამოყენება მოხდება მესაკუთრეებთან შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე.

საპროექტო საყრდენების განთავსების GPS კოორდინატებია: **N92** - X-266790, Y-4757549; **N93** - X-266966, Y-4757715; **N93ა**: X-267097, Y-4757687; **N94**: X-267567, Y-4757431. აღნიშნული საყრდენების განთავსების სიმაღლეების ნიშნულებია: **N92** – 600 მ; **N93** – 560 მ; **N93ა** - 567 მ და **N94** – 745 მ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 6 თვის განმავლობაში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სასაწყობე ბაზის მოწყობა, რისთვისაც გამოყენებული იქნება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 702 მ² ფართობის მიწის ნაკვეთი. სასაწყობე ბაზის გამოყენება მოხდება ანძების, სხვადასხვა კონსტრუქციების, საძირკვლების, სადენების და სამშენებლო ტექნიკის განთავსებისთვის. ანძების საძირკვლები და კონსტრუქციები ადგილზე შემოტანილი იქნება მზა სახით. ასევე ბეტონის საწარმოებიდან მოხდება ბეტონის ნარევის შემოტანა. მშენებლობის პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი სახის ტექნიკა: თვითმცლელი, ბულდოზერი, ამწე და ექსკავატორი.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ეგხ-ის დერეფნის ძირითად ნაწილზე მისასვლელად გამოყენებული იქნება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის “ზუგდიდი-მესტია-ლასდილის” საავტომობილო გზა და ტერიტორიის მიმდებარედ არსებული გრუნტის გზები, რომელთა გარკვეული ნაწილი საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. ახალი გზის მოწყობა გათვალისწინებულია N92 ანძის გადატანის ადგილამდე, რომლის სიგრძეც დაახლოებით 40 მეტრს შეადგენს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ექსკავირებული ქანების მაქსიმალური რაოდენობა იქნება დაახლოებით 2850 მ³. ფუჭი ქანები ძირითადად გამოყენებული იქნება საპროექტო ანძების თხრილის უკუყრილებისათვის და სარეაბილიტაციო გზების ვაკისების მოსაწყობად, ხოლო დარჩენილი ნაწილი განთავსდება სანაყაროს ტერიტორიაზე, რომლის GPS კოორდინატებია: X - 266981, Y - 4757682; X - 266983, Y - 4757686; X - 266992, Y - 4757685 და X - 266998, Y - 4757691.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა მართვა განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოსაქმნელი ნარჩენების სახეობები, მახასიათებლები, რაოდენობა და მართვის საკითხები წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა, ასევე ვიბრაციისა და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების შესრულებასთან და ტექნიკის მუშაობასთან. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა და ხმაურის გავრცელების სტაციონარული წყაროების მოწყობა არ იგეგმება, ასევე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აღნიშნული სახის ზემოქმედებები შეფასებული იქნება გზშ-ის ანგარიშში.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და საველე სამუშაოების შედეგად საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ გამოვლენილია ძუძუმწოვრების 30-ზე მეტი, ხელფრთიანების 20-მდე, ფრინველების 90-მდე, ქვეწარმავლების და ამფიბიების 15-მდე, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. საველე კვლევის დროს საპროექტო ზონაში გამოიყო 7 ძირითადი ჰაბიტატი. საპროექტო ტერიტორიაზე წინასაპროექტო კვლევების პროცესში საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები არ დაფიქსირებულა. პროექტის განხორციელების ფარგლებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელებულ სახეობებზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილ ხმაურთან და ვიბრაციასთან, ასევე ორნითოფაუნაზე ზემოქმედებას ადგილი იქნება ეგზ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე. გზშ-ის ანგარიშში შეფასებული იქნება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება და წარმოდგენილი იქნება შემარბილებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი ინფორმაციით, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება საშუალო სირთულის კატეგორიას, უბანი მდგრადია და არსებული პირობები საყრდენების მშენებლობისათვის მისაღებია, თუმცა სამშენებლო მოედნის

მოწყობისას უნდა შენარჩუნდეს ფერდობის დახრის კუთხე და არსებული ტერიტორიიდან ჩამოცვენილი მასალის დროულად გატანის მიზნით მოხდეს ადგილის მონიტორინგი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა იქნება დაახლოებით 218 მ³. მოხსნილი ნიადაგი დასაწყობდება საპროექტო ანძების მიმდებარედ და სამუშაოების დასრულების შემდგომ გამოყენებული იქნება რეკულტივაციისთვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობისა და არქეოლოგიური ძეგლები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე, ასევე მესტიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. ასევე, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 15 აგვისტოს, მესტიის მუნიციპალიტეტის, სოფ. ხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „გამა კონსალტინგის“, სს გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“, სოფ. ხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ);
5. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ეგხ-ის ტიპის ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ეგხ-ის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
 - დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, მათ შორის ინფორმაცია არსებული და საპროექტო ეგხ-ის სიგრძისა, ასევე არსებული, სადემონტაჟო და საპროექტო საყრდენი ანძების რაოდენობების შესახებ, ასევე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების დეტალური აღწერა;
 - საპროექტო ეგხ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების (სიგრძე, ანძების სიმაღლე და სხვ.) ცხრილი და ინფორმაცია ეგხ-ის განთავსების ტექნიკური პირობების შესახებ (საყრდენი ანძების კონსტრუქციებისა და სადენების ტიპების, არსებული საყრდენების დემონტაჟისა და ახალი ანძების მოწყობის პირობებისა და საძირკვლების პარამეტრების მითითებით);
 - საპროექტო ეგხ-ის დერეფნის shp ფაილები, საპროექტო და არსებული (სადემონტაჟო) ანძების განთავსების GPS კოორდინატები და ზემოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდების მითითებით) შესახებ ინფორმაცია;
 - ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვის შესახებ. ინფორმაცია საპროექტო ბუფერის (სქემატურ რუკაზე და shp ფაილებზე ასახვით) შესახებ, მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;
 - დაზუსტებული მანძილი საპროექტო ეგხ-ის დერეფნიდან (უშუალოდ ეგხ-ის სადენებიდან და დაცვის ზონიდან/ბუფერიდან) უახლოეს საცხოვრებელ

სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;

- საპროექტო ეგზ-ის სქემა/სიტუაციური რუკა (შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით), შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი. ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდებისა და ლიტერატურის შესახებ;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ეგზ-ის გაყვანისა და ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ;

5.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობისა და გეგმა- გრაფიკის მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ;
- მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების გაყვანის და რეაბილიტაციის შესახებ (მოსაწყობი და სარეაბილიტაციო გზების სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე ასახვით), მოსაწყობი და სარეაბილიტაციო გზების პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების მითითებით, ასევე შეფასებული უნდა იქნეს გზების მოწყობითა და რეაბილიტაციით გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მართვის საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს, ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების ადგილების (სანაყარო) შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით (სანაყაროს ფართობისა და GPS კოორდინატების მითითებით). დასაბუთებული უნდა იყოს სანაყაროს განთავსებისთვის შერჩეული ადგილის/ადგილების გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური უპირატესობები;

5.2 გეოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

ახალი და ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული ანძების სამშენებლო მოედნებზე უნდა ჩატარდეს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, რაც ასახული უნდა

იქნას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, ასევე, გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახით:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობების პიკეტური აღწერა (უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიის სივრცეში არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების აღწერასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ეგზ-ის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;

5.3 გზშ-ის ანგარიშში, ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზშ-ის ეტაპზე დაგეგმილია ბიოლოგიური გარემოს დამატებითი კვლევა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს უშუალოდ საპროექტო ტერიტორიების გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელი ნუსხით" დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებასა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს ფოტომასალასთან ერთად. აღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა (ან შესაბამისი საკითხები აისახოს ერთიან მონიტორინგის გეგმაში), სადაც სამონიტორინგო დაკვირვებები მოცემული იქნება ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტისთვის, განსაკუთრებით ფრინველებსა და მათ სიკვდილიანობაზე (მაგალითად ელექტროსადენებთან და ანძებთან შეჯახებით სიკვდილიანობა) დაკვირვების საკითხები ვადების, ადგილების, ხანგრძლივობისა და სხვა პარამეტრების მითითებით. გეგმაში, ასევე უნდა აისახოს შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით), მონიტორინგის ჩატარების სიხშირისა და ვადის/ხანგრძლივობის, სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხები;
- ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების ამსახველი დეტალური ინფორმაცია, სათანადო პრევენციული ქმედებების აღწერით.

- დაზუსტებული უნდა იყოს ეგხ-ს ანბების მდებარეობები და წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზისა და მისი მშენებლობისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, მათ შორის საპროექტო ახალი გზების გაყვანისას და არსებული გზების რეკონსტრუქციისას დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტი მონაცემები, სახეობების მიხედვით, რაოდენობის და მოცულობის მითითებით.
- დეტალურად უნდა იქნეს განხილული და დასაბუთებული ეგხ-ის განთავსების ალტერნატივები, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ეგხ-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტების (არსებობის შემთხვევაში) მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება (გავრცელების სიხშირე და დონე), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, შესაბამისი დასაბუთებით და საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა, განთავსების პირობებისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ, (მდებარეობის მითითებით - GPS კოორდინატები, Shp ფაილები), „ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ წყლის ობიექტზე, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკების შეფასება, ასევე დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურიდან მდ. ენგურამდე და „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია.
- shp ფაილების მიხედვით, სანაყარო დაგეგმილია წყალდაცვით ზოლში, შესაბამისად საჭიროა მისი ადგილმდებარეობის ცვლილება;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე.

ამასთან, განისაზღვროს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე, უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

- ინფორმაცია ფიზიკური ან/და ეკონომიკური განსახლების საჭიროების შესახებ;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა და გრუნტის წყლებზე, დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები);
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებით ორნითოფაუნაზე ზემოქმედების კრილში), მიმდებარე არსებული ობიექტების გათვალისწინებით, შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ, არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (დასახლებულ პუნქტებში გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვა, ღამის საათებში დასახლებულ პუნქტებში გადაადგილების აკრძალვა, სენსიტიურ უბნებზე გზების მორწყვა და სხვ);
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მესტიის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია 500/110/35 კვ ძაბვის ქვესადგურის “იდლიანის” მოწყობა. დაზუსტებას საჭიროებს ვის მიერ და რა ვადებში მოხდება აღნიშნული ქვესადგურის მოწყობა;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სარეკონსტრუქციო მონაკვეთში ეგზ-ს დერეფანი კვეთს მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე არსებულ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზას და სს

„ენერგო-პრო ჯორჯიას“-ს 35 კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ს (ხუდონი-ლახამურა: ს/კ 42.00.040). ამასთანავე, ეგხ-ის დერეფანი გაივლის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ (ს/კ 42.16.07.158 და 42.16.44.016) და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კუთვნილ (ს/კ 42.16.44.827) მიწის ნაკვეთზე. წარმოდგენილი უნდა იქნეს მათთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- სკოპინგის ანგარიშში გვ. 29-ზე მითითებულია, რომ სანაყაროზე მოხდება 106 მ³ გრუნტის განთავსება, ხოლო გვ. 43-ის მიხედვით, 100 მ³ მოცულობის გრუნტი განთავსდება დროებითი სასაწყობო ბაზის და სანაყაროს ტერიტორიაზე. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი, საჭიროებს დაზუსტებას;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, 500 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ რეკონსტრუქციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.